ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№26

ქ. თბილისი; 27 ივლისი, **2018** წ. **13:00** სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

ნინო ლაცაბიძე
დავით ჭელიძე
ავთანდილ ციხცაძე
თინათინ წიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - ნინო კვეტენაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან ძირწიკაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი - თეიმურაზ ბოლოთაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - მაკა ნასრაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი
- სერგო ბირკაძე

სხდომის თავმჯდომარე.

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1 „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მედიათეკების გაერთიანების" (ს/კ 404967087) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. "საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი", ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გასკარგულების პროექტი.

6. "ქალაქ თბილისში, გ. ჩიტაიას ქ.N12-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (საკადასტრო კოდ(ებ)ი N01.16.06.006.008.01.507; N01.16.06.006.008.01.508;) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვისპირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისში, ისანი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N147ა-ს მიმდებარედ 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.17.14.002.089) აუქციონის განსაკუთრებული პირობების/შეზღუდვების გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისის მერიასა და კორპორაცია ,,პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის“ საქართველოს წარმომადგენლობას“ (ს/კ 236097326) შორის 2009 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული ,,ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გაწკარგულების პროექტი

9. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ლევან მიქავამ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დასმული წესრიგის გაცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონ ლევან მიქავას განმარტებით, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 ივლისის **N1341** განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან დამატებით გამოიყო **10 000,0** ათასი ლარი და აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით, ბიუჯეტის მოცულობა იზრდება და შეადგენს **916 863,6** ათას ლარს.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში, განხორციელებული ეკონომიების, მოძიებული ფიზიკური რესურსებისა და ბიუჯეტის ზემოაღნიშნული გაზრდილი შემოსავლების მეშვეობით, დაფინანსდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებები:

- ხორციელდება გზების მშენებლობა-აღდგენა - 10 000,0 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის შემდეგ რაიონებში: გლდანი, ნაძალადევი, დიდუბე, ჩუღურეთი, ვაკე, საბურთალო, საბჭოური და კრწანისი;
- იზრდება სატრასპორტო ინსტრასტრუქტურის მოწერიგება - 1 048,4 ათასი ლარით და ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები 555,0 ათასი ლარით,;
- აგრეთვე, იზრდება კეთილმოწყობის ღონისძიებათა განხორციელებისათვის გათვალისწინებული ფინანსური რესურსები: ნაძალადევის 155,6 ათასი ლარით,, დიდუბის 570,5 ათასი ლარით,, ჩუღურეთის 190,0 ათასი ლარით, ისნის 730,0 ათასი ლარით, კრწანისის 346,0 ათასი ლარით, და მთაწმინდის რაიონებში 899,0 ათასი ლარით;
- ასევე, ხორციელდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გაზრდა: ქალაქის განვითარების ხელშეწყობა 300,0 ათასი ლარით,, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა **100,0** ათასი ლარით (ელექტრომობილების შეძენის მიზნით), თბილისი-საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში 5,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა **255,0** ათასი ლარით,

საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება 500,0 ათასი ლარით, კულტურის ღონისძიებები 1 000,0 ათასი ლარით კულტურის სფეროში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად,, **სპორტული ღონისძიებები 500,0** ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა 12,0 ათასი ლარით, **მერიის ადმინისტრაცია 1 010,0** ათასი ლარით, ისნის **რაიონის** გამგეობა **51,0** ათასი ლარით.

- ამასთან, ემატება ახალი ქვეპროგრამა მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა 289,8 ათასი ლარის ოდენობით.

ბატონმა ლევან მიქავამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საბოლოო ჯამში 2018 წლისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა **88 494,7** ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ კითხვით მიმართა ბატონ ლევან მიქავას, თუ რამდენად თანაბრად იზრდება დადგენილების პროექტში მითითებული, მუნიციპალიტეტის რაიონების შესაბამისი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებები.

მომხსენებელმა დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით **განმარტა**, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონებისათვის კონკრეტული პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გაზრდა განხორციელდა ჩატარებული ტენდერების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის რაიონებში მიღწეული ეკონომიების და არსებული საჭიროებების შესაბამისად.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ ცვლილებებია, წარმოდგენილი დადგენილების სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნეს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის **მე-20** მუხლის კონკრეტული პუნქტთან ერთად და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის **მე-20** მუხლის **მე 4** პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:"

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ბატონმა თეიმურაზ ბოლოთაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც მომხსენებელი განმარტავს, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა აღნიშნულ კანონთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა.

ბატონმა თეიმურაზმა აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით არსებული მოსაკრებლის განაკვეთების ოდენობა, არ არის იმ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული დანახარჯის ადეკვატური, რასაც სწევს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურეობრივი საქმიანობის შესრულების პროცესში მანვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტი, მეტად დაარეგულირებს წარმოდგენილ სფეროს, ვინაიდან, ითვალისწინებს შემდეგი სახის ცვლილებებს:

- ახლიდან ყალიბდება ინსტრუქციის მე 2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, აგავე ინსტრუქციის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლით დაბეგვრის ობიექტი იქნება

ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი.

- ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება 4 ლარის ოდენობით, ასევე, განისაზღვრება მოსაკრებლის ოდენობა ხაზობრივი ნაგებობისა და ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი.
- ინსტრუქციის №5 პუნქტს ემატება 5^1 და 5^2 პუნქტები, რომლის მიხედვითაც, ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში მოსაკრებელის ოდენობა ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისთვის განისაზღვრება - 1 (ერთი) ლარის ოდენობით. ასევე, ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება II კლასის ობიექტისათვის - 50 ლარით, III კლასის ობიექტისათვის - 200 ლარით, ხოლო IV კლასის ობიექტისათვის - 400 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

ბატონ ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ქალბატონმა მაკა

ნასრაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მედიათეკების გაერთიანების" (ს/კ 404967087) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მედიათეკების გაერთიანების" (ს/კ 404967087) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას.

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ თბილისის მედიათეკების გაერთიანების ლიკვიდაციის აუცილებლობა განაპირობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების" შექმნამ, რომლის მიზანია:

- ყველა ასაკის მკითხველისთვის საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურების გაწევა;
- თანამედროვე ტიპის კულტურულ-საინფორმაციო სივრცის შექმნა, რომელშიც მომხმარებელს საშუალება ექნება ისარგებლოს მრავალფეროვანი ფონდით (როგორც წიგნადი (მატერიალური), ისე ელექტრონული რესურსებით).
- მომხმარებლებისა მოთხოვნების, ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნილების შესწავლა და ანალიზი, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ინტერესების სრულად და ოპერატიულად დაკმაყოფილება;
- საბიბლიოთეკო ფონდებისა და სხვა რესურსების სრულად და ეფექტურად გამოყენება, პროფილის ფარგლებში ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის ძასალების მოპოვება, დამუშავება და გაძოცემა;
- საზოგადოების კულტურული და სოციალური თვითშეგნების, ესთეტიკური გახიარების სრულყოფის ხელშეწყობა;
- შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა, პოპულარიზაცია, მკითხველთა მომსახურება როგორც ადგილზე, ასევე ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის მეშვეობით;

- სხვადასხვა სოციალური პროექტის განხორციელება და აქტიური მონაწილეობის მიღება სოციალურ პროექტებში;

- მკითხველის წიგნთან დაბრუნების და ამ სფეროში მიმდინარე პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობა;

- კულტურულ, საგანმანათლებლო და სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივ დაწესებულებებთან, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ (მათ შორის ბიბლიოთეკებთან და მსგავს ორგანიზაციებთან) თანამშრომლობა; და დამატებითი დაფინანსების მოძიება ქართული და უცხოური ფონდებიდან;

- ბიბლიოთეკის მომსახურებისა და დამხმარე სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხის განსაზღვრა მხოლოდ დამფუძნებელთან შეთანხმებით;

- დასახული მიზნის მისაღწევად სხვა უფლებამოსილებების განხორციელება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ წესდებასა და მოქმედ კანონმდებლობას;

- ელექტრონული ბიბლიოთეკისა და ციფრული მემკვიდრეობის არქივის შექმნა;

მომხსენებელმა აგრეთვე **დაამატა,** რომ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების მიზნები სრულად მოიცავს და ავიოარებს **„თბილისის მედიათეკების გაერთიანების“** კულტურულ - საგანმანათლებლო ფუნქციებს, რისი გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის **„თბილისის მედიათეკების გაერთიანების“** ლიკვიდაცია. ამასთან, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებამ ერთ ორგანიზაციად უსდა გააერთიანოს **ა(ა)იპ თბილისის მედიათეკების გაერთიანება და სსიპ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა**

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მიმზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **"საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M₁კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, "საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრას.

ბატონმა სერგო ბირკაძემ განაცხადა, რომ 2018 წლის 4 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო და 7 ივლისიდან ამოქმედდა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს, მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M₁კატეგორია) გადაყვანის საკითხის დარეგულირებას, აგრეთვე დაამატა, რომ დღეის მდგომარეობით, წარმოდგენილი სფერო არ არის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული.

მოამზადებლის განმარტებით, "სამართალშემოქმედების ტექნიკისა"-ად, განხორციელდა რიგი სამართლებრივი ცვლილებანი, რომლებიც წარმოადგენენ წინაპირობებს მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M₁კატეგორია) გადაყვანის საკითხის დარეგულირებისათვის:

- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 ე მუხლის 26[1] პუნქტის მიხედვით, ნებართვის სახეებს დაემატა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M₁კატეგორია) გადაყვანის ნებართვა, ხოლო კანონს დამატებული 26[5] მუხლის მიხედვით, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით–ტაქსით (M₁კატეგორია) გადაყვანის ნებართვას გასცემს საქართველოს დედაქალაქის მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი საქართველოს დედაქალაქის მერიის სტრუქტურული ერთეული. ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად იხდის ნებართვის გაცემის ფასს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს დედაქალაქის ბიუჯეტში, საქართველოს დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო კი ამტკიცებს საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M₁კატეგორია)

გადაყვანის სანებართვო პირობებს, ნებართვის გაცემის წესს, ნებართვის გაცემის ფასსა და მისი გადახდის წესს.

- ამასთან საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 64-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თბილისის საკუთარ უფლებამოსილებებს დაემატა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, ნებართვის მფლობელთა შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლებისა და დამუშავების წესის განსაზღვრა.

- საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75-ე მუხლის „ე.g^1“ქვეპუნქტით მთავრობის უფლებამოსილებებს დაემატა თბილისის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის წარდგენა, ხოლო, იმავე 75-ე მუხლის „ე.v^1“ ქვეპუნქტით - საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემა ან აღნიშნული ნებართვის გაცემის უფლებამოსილების თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულისთვის მინიჭება.

- ამასთან, 2018 წლის 4 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ორგანულ კანონში ცვლილების მე-2 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, დაევალა 2018 წლის პირველ ოქტომბრამდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მფლობელთა შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის დასამტკიცებლად წარდგენა.

- „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლის 11^1 პუნქტის თანახმად, კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტებას დაემატა ახალი განძარტება - მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანა, ხოლო 5^1 მუხლს სანებართვო საქმიანობის სახედ „ა^1“ ქვეპუნქტით დაემატა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით–ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანა.

მომხსენებლის მოსაზრებით, ტაქსით მგზავრთა გადაყვანის დარეგულირება წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთ აუცილებელ მიმართულებას. ამასთან, აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება,

უმნიშვნელოვანესია, როგორც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, ასევე, მგზავრთა უსაფრთხოდ გადაადგილების თვალსაზრისით.

ბატონმა სერგომ ასევე აღნიშნა, რომ პირველ ეტაპზე შემოღებული რეგულაციები არ იქნება მკაცრი ხასიათის და ექნება მხოლოდ აღმრიცხველი თვისება შესაბამის სანებართვო პირობებთან ერთად, ხოლო სამომავლოდ, ეტაპობრივად მოხდება საქმიანობის განმახორციელებელი პირებისათვის უფრო დეტალური წესების, ვალდებულებების შემოღება და გაცნობა/ადაპტირება. ამასთან მიუთითა, რომ სხვა პირობებთან ერთად, პირველ ეტაპზე უმნიშვნელოვანესია, ტაქსით მგზავრთა გადაყვანის განმახორციელებელი პირების მიერ ავტომობილის თვალსაჩინო ადგილას დამაგრებულ იქნეს სანებართვო მოწმობა და ყვიოელი შუქურა ეს გარემოება მოსახერხებელი იქნება, როგორც საპატრულო პოლიციის, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებისათვის, სამსახურეობრივი უფლებამოსილების შესრულების პროცესში.

მომხსენებლისვე მითითებით, პროექტით გაწერილია, რომ საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასი, ნებართვის გაცემის დღიდან 2019 წლის პირველ ოქტომბრამდე, თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე, განისაზღვრა - 100 (ასი) ლარის ოდენობით, ხოლო ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში, ნებართვის გაცემის დღიდან 2019 წლის პირველ ოქტომბრამდე - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. მახვე დასძინა, რომ საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის გადახდისგან, 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თავისუფლდება ელექტრომრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომლის ძრავას მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია.

ბატონმა სერგომ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი ასევე მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ნებართვის გაცემა ნებართვის მაძიებლებზე უნდა უზრუნველყოს 2018 წლის პირველი აგვისტოდან.
- საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის მომსახურების განხორციელება 2018 წლის პირველი ოქტომბრიდან შესაბამისი ნებართვის გარეშე გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
- ასევე განსაზღვრულია ნებართვის გაცემის, ელექტრონული მისამართით მომსახურების უზრუნველყოფის, სადავო საკითხების მოგვარების, ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების პირობები, კონტროლის მექანიზმები სანებართვო პირობების შესრულებაზე, პასუხისმგებლობის სახეები საწებართვოს პირობების დარღვევისათვის და წებართვის გაუქმების საფუძვლები.
- ასევე, ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს, ნებართვის მფლობელის და ნებართვის გამცემის უფლება-მოვალეობებსა და სანებართვო მოწმობის ფორმასა და რეკვიზიტებს.

აზრი გამოთქვეს:

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა, ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა იკითხა, შესაძლებელია არა ტაქსით მგზავრთა გადაყვანის განმახორციელებელი პირის მიერ, ნებართვის მოპოვებისა და ელექტრონულად დარეგისტრირების შემდგომ, აღნიშნულმა პირმა სხვა ავტომობილით გააგრძელოს საქმიანობა.

ბატონმა სერგომ განმარტა, რომ ‘ექმოთ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია წარმართოს საქმიანობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ სისტემაში შესაბამის ფუნქციათა განხორციელების გზით, სხვა ავტომობილით, უკვე აღებული ნებართვის მოქმედების ვადის ფარგლებში.

ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ კითხვა დასვა მომხსენებლის მისამართით, რამდენად იმოქმედებდა აღნიშნულ სფეროში დასაქმებული, სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირის სტატუსზე საკრებულოს დადგენილების პროექტით წარმოდგენილი რეგულაცია.

ბატონმა სერგომ განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის რეგულირების სფეროს არ წარმოადგენს ტაქსით საქმიანობის განმახორციელებელი პირების შემოსავლების აღრიცხვა. მოცემულ ეტაპზე, სამართლებრივი სიახლე მოიცავს ტაქსით მგზავრთა გადაყვანის განმახორციელებელ პირთა საქმიანობის რეგისტრაციას/აღრიცხვას, კონკრეტულ პირობათა დაცვას და შესაბამისი ნებართვის მოპოვებას, საფასურის გადახდის გზით.

ბატონ ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებით, ვინაიდან, წარმოდგენილი პროექტი, პირველი ეტაპისათვის, ითვალისწინებს საქმიანობის განხორციელებისათვის ნებართვის აღებას, შესაბამის პირობებთან ერთად, შესაძლებელია, სამომავლოდ მოხდეს დამატებითი რეგულაციების შემოღებისას ხსენებული საკითხის იმგვარად მოწესრიგება, რომ არ შეილახოს სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახის წარმომადგენელ პირთა ინტერესები. აგრეთვე, დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი საკითხის სამართლებრივად დანერგვა, სხვა მუნიციპალიტეტს მისცემს სტიმულს ტაქსით მგზავრთა გადაყვანის საკითხის მოწესრიგებისათვის.

ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ ასევე იკითხა, დადგენილებით წარმოდგენილი საკანონმდებლო სიახლე იმოქმედებს თუ არა ტაქსით მგზავრთა საქალაქთაშორისო

გადაყვანის განმახორციელებელი პირების საქმიანობაზე, რაც გულისხმობს, რომელიმე რაიონიდან მგზავრთა თბილისის ტერიტორიაზე შემოყვანას.

ბატონმა სერგომ განაცხადა, რომ პირები, რომლებსაც სურთ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განახორციელონ საქმიანობა, მათ მოუწევთ რეგისტრაციის გავლა და შესაბამისი საფასურის გადახდა, ხოლო, იმ შემთხვევაში თუ პირი თბილისის ტერიტორიაზე უბრალოდ შემოვა და საქმიანობას არ განახორციელებს, არ დაექვემდებარება წარმოდგენილ რეგულაციებს.

მოამხსენებელმა ასევე ყურადღება გაამახვილა ქალაქ რუსთავიდან ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ტაქსით მგზავრთა გადაყვანის განმახორციელებელი პირების საქმიანობაზე და განაცხადა, რომ მოცემული საკითხი შემდეგომი ეტაპის დარეგულირების საგანია, ვინაიდან, შესაბამისი პირებთან კონსულტაციის გზით, გამოიკვეთა რიგი პრობლემები, რაც საჭიროებს დეტალურ დაკვირვებასა და ჩაღმავებას. ასევე დაამატა, რომ მოცემულ სიახლესთან დაკავშირებით, სამომავლოდ შეიქმნება შესაბამისი ინფორმაციული ხასიათის მატარებელი ვიდეო-რგოლები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ათივე რაიონულ გამგეობაში საკითხთან დაკავშირებულ შესაბამის საქმიანობას განახორციელებენ უფლებამოსილი პირები.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა, ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ ხაზი გაუსვა, ტაქსით მგზავრთა გადაყვანის განმახორციელებელი პირების მიერ, ავტომობილში ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელობას.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა დადებითად შეაფასა დადგენილების პროექტით, ნებართვის მფლობელი მძღოლთა უფლება მოვალეობები, მათი შორის, სასტარტიო ჰიგიენური წესების დაცვის ვალდებულება და ტაქსით გადასაყვან მგზავრთა ტევადობის წორმის დაცვა.

აგრეთვე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს შემდეგი სამართლებრივი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

- ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია, დადგენილების პროექტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტში, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, 2018 წლის პირველ ოქტომბრამდე, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ამ დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ წესში ცვლილების პროექტის წარდგენას, ახალი ან/და დამატებით სანებართვო პირობების თაობაზე, შემდეგი რედაქციის „გ“ ქვეპუნქტის დამატებას:
„გ) ავტომობილებზე ვიზუალური კუთხით ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი საშუალების არსებობის და ასეთის არ არსებობის შემთხვევებისათვის.”

- ასევე, აღნიშნა, რომ სასურველია, მოხდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დანართის სახით წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (მიკატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების,ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების შესახებ წესის“ მე-8 მუხლის „ბ“ პუნქტის, რომელიც ადგენს სანებართვო პირობებს ნებართვის მფლობელისათვის, კორექტირება და მისი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება:

„ბ) მომსახურების გაწევისას თუ იყენებს ტაქსის აღმნიშვნელ ყვითელ მანათობელ ნიშანს ან ავტომობილს გააჩნია ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი საშუალება, მძღოლი ვალდებულია ტაქსის აღმნიშვნელი ყვიოელი მანაოობელი ნიშანი განათავსოს სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა წაწილის (სახურავის) შუა ადგილზე;“

ბატონი სერგო ბირკაძე დაეთანხმა და მიზანშეწონილად მიიჩნია, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე, დადგენილების პროექტის განხილვისას გამოთქმული წინადადებები, დადგენილების პროექტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისათვის „გ“ ქვეპუნქტის დამატებასთან და დადგენილების პროექტის დანართის სახით წარმოდგენილი წესის მე-8 მუხლის „ბ“ პუნქტის კორექტირებასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების/წინადადებების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი", ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი") შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი") შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის თანახმად, მოიჯარეს ვალდებულებებს წარმოადგენს:

- განათავსოს რეტერატ(ებ)ი (საზოგადოებრივი საპირფარეშო) იჯარის ხელშეკრულების დანართი 2-ით გათვალისწინებული რესურსის შესაბამისად და გაუშვას ექსპუატაციაში წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში (2.1.1. ქვეპუნქტი);
- რეტერატი (საზოგადოებრივი საპირფარეშო) განათავსოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 1-ში მითითებულ საკადასტრო ერთეულებზე 30 (ოცდაათი) ლოკაციაზე (2.1.2 ქვეპუნქტი);

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2017 წლის 9 ნოემბრის №42.06.818 და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №70 განკარგულებების საფუძველზე, შპს „კონსალტინგ გრუპს" მიეცა დამატებითი ვადა, 2017 წლის 30 ნოემბრიდან 2018 წლის 31 ივლისამდე, ხელშეკრულების გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესასრულებლად და გათავისუფლდა აღნიშნული ვალდებულებების დარღვევისთვის 2017 წლის 30 ნოემბრიდან 2018 წლის 31 ივლისამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან.

ქალბატონმა ნინომ კვეტენაძემ აღნიშნა, შპს „სითი-ბოქსის“ წარმომადგენელმა წერილებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და განაცხადა, რომ დედაქალაქში რეტერატების განთავსების პროექტის ძირითად პრობლემას წარმოადგენს საკომუნიკაციო ქსელების გაყვანა გარკვეულ ლოკაციებზე, რეგულირებად ნორმებში საკანალიზაციო ქსელის მოწყობის შეუძლებლობის გამო. აქედან გამომდინარე, მოიჯარემ მოითხოვა ცალკეული ლოკაციების ადგილმონაცვლეობა და რეტერების განთავსებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ვადის გადავადება, 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, გ. ჩიტაიას ქ. N12-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (საკადასტრო კოდ(ებ)ი N01.16.06.006.008.01.507; N01.16.06.006.008.01.508;) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, კოოპერატიული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის განსაზღვრული უპრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე, მოქალაქეთა მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებებით მიმართეს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა - ემირ ქვაჩახიამ და ლელა ქოქოსაძემ და ითხოვეს შესაბამისი ფართების საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან

შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე, მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ასევე იშუამდგომლეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ.

მომხსენებელმა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მიზნად ისახავს, ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, ქ. თბილისში გ. ჩიტაიას ქ. N17-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის გადაცემას. მანვე დასძინა, რომ საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, ქ. თბილისში გ. ჩიტაიას ქ. N17 ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.16.06.006.008.01.507 და N01.16.06.006.008.01.508 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონება გადაეცემა საკუთრებაში ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ სამომავლოდ, სასურველია, განხორციელდეს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების ოდენობის დაანგარიშება ექსპერტიზის შესაბამისი დაწესებულების მიერ, კონკრეტულ .პირთა საკუთრებაში გადაცემამდე.

მომხსენებელმა დადებითად შეაფასა კომისიის თავმჯდომარის მიერ, გადასაცემი მიწის ნაკვეთების ფინანსური ღირებულების ოდენობის შესწავლასთან დაკავშირებით, გამოთქმული მოსაზრება.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, გასწორდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურში არსებული ტექნიკური სარვეული და ნაცვლად გ. ჩიტაიას ქ. N12 ისა, მიეთითოს გ. ჩიტაიას ქ. N17.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ისანი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N147ა-ს მიმდებარედ 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.17.14.002.089) აუქციონის განსაკუთრებული პირობების/შეზღუდვების გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ისანი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N147ა-ს მიმდებარედ, 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე აუქციონის განსაკუთრებული პირობის/შეზღუდვის - „ენერგო ობიექტის განთავსება" გაუქმებაზე თანხმობის გაცემას. ხოლო, საკითხის, საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს დაინტერესებული პირისათვის გადაწყვეტილების გაცნობას.

ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 19 მარტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე მოქალაქე გივი სიდამონიძეს აუქციონის ფორმით საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, ისანი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N147ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი, რომლის ღირებულება განისაზღვრა 3 500 (სამიათას ხუთასი) ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის თანახმად, აუქციონის განსაკუთრებულ პირობად განისაზღვრა შეზღუდვა - „ენერგო ობიექტის განთავსება".

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა მოქალაქე გივი სიდამონიძის სარჩელი - ქ. თბილისში, ისანი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N147ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული შეზღუდვის „ენერგო ობიექტის გათავსება" უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაუქმებასთან დაკავშირებით.

ამასთან, ქალბატონ ნინოს კვეტენაძის მითითებით, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მერიის სააპელაციო საჩივრები არ იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო, უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო ქალაქ თბილისის მერიისა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივრები.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათ დაცვის კომისიის თავმჯდომარეს მოსაზრებით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტში გასწორებულ იქნეს შემდეგი ხარვეზები:

- წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე 2 პუნქტი, რომლის მისედვითაც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს იწდიეიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

- „ქ. თბილისში, ისანი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N147ა-ს მიმდებარედ 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.17.14.002.089) აუქციონის განსაკუთრებული პირობების/შეზღუდვების გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივლისის N18.527.840 განკარგულებაზე მითითება, ნაცვლად განკარგულების პროექტის პირველი პუნქტისა, გაკეთდეს სამაროლებრივ საფუძვლებში, შესაბამისად, დაკორექტირდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლები პირველ პუნქტთან ერთად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

  „საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 127² მუხლის მე-2 პუნქტისა და „ქ. თბილისში, ისანი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N147ა-ს მიმდებარედ 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.17.14.002.089) აუქციონის განსაკუთრებული პირობების/შეზღუდვების გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივლისის N18.527.840 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

  „1. გაუქმდეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 19 მარტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE–106 9 4779 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული აუქციონის განსაკუთრებული პირობა/შეზღუდვა - „ენერგო ობიექტის განთავსება". „

- ასევე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები განკარგულების პროექტის სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, ისანი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N147ა-ს მიმდებარედ 25 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.17.14.002.089) აუქციონის განსაკუთრებული პირობის/შეზღუდვის გაუქმების თაობაზე“.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მერიასა და კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის“ საქართველოს წარმომადგენლობას“ (ს/კ 236097326) შორის 2009 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მერიასა და კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის“ საქართველოს წარმომადგენლობას შორის 2009 წლის 21 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც მყიდველს სიმბოლურ ფასად 1000 (ათასი) ლარად საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში ქ. წამებულის გამზირი N65-ის I სართულზე მდებარე 466.35 კვ.მ ფართი, შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთით ქ. თბილისში, წამებულის გამზირი N65 ში არსებულ სარდაფში მდებარე 401.47 კვ.მ ფართი და ქ. თბილისში, პატარძეულის ქ.N8-ში მდებარე 625 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე გასთავსებული შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართობით 44.14 კვ.მ.

ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ განაცხადა, რომ კორპორაციის მიერ 2018 წლის 21 მარტს წარდგენილ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 20 მარტის დასკვნა, რომლის თანახმადაც, კორპორაციის

საქართველოს წარმომადგენლობის მიერ 2011 წლის 30 მარტიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში უზრუნველყოფილია უწყვეტი სამედიცინო განათლება, საექთნო და დიპლომირებული ექთნების გადამზადება. ხოლო, გამოსაკვლევ პერიოდში ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად თანამედროვე, დასავლური სტანდარტების საექთნო სკოლის ჩამოყალიბება არ მომხდარა. ასევე, აღნიშნა, რომ 2016 წლის 11 აპრილს შექმნილია შპს „ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯი", რომელსაც მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ იქნა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წერილში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მოსაზრებით, აბიტურიენტთა შორის საექთნო პროფილის მიმართულების დაინტერესების დაბალი მაჩვენებლისა და საქართველოში საექთნო საბაკალავრო პროგრამის არსებობის გამო ასეთი სკოლის ჩამოყალიბება მიზანშეწონილად არის მიჩნეული. მანვე განმარტა, რომ კორპორაციამ ითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისას, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამონაწილეობის გაუქმება, ხოლო, თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარმოდგენა, რომლითაც საექთნო სკოლის ჩამოყალიბების ვალდებულება ექნება მხოლოდ კორპორაციას.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს მოსაზრებით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტში გასწორებულ იქნეს შემდეგი ხარვეზები:

- პროექტის სამართლებრივი დასაბუთების საწილში მითითების საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

- სასურველია, "ქალაქ თბილისის მერიასა და კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის" საქართველოს წარმომადგენლობას" (ს/კ: 236097326) შორის 2009 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ"ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივლისის N18.526.841 განკარგულებაზე მითითება ნაცვლად განკარგულების პირველი პუნქტისა გაკეთდეს სამართლებრივ საფუძვლებში და შესაბამისად, დაკორექტირდეს დაკორექტირდეს წარმოდგენილი განკარგულების

პროექტის სამართლებრივი საფუძვლები პირველ მუხლთან ერთად შემდეგი რედაქციით:

„ საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 127² მუხლის მე-3 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და "ქალაქ თბილისის მერიასა და კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის" საქართველოს წარმომადგენლობას" (ს/კ: 236097326) შორის 2009 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ"ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივლისის N18.526.841 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეიცვალოს ქალაქ თბილისის მერიასა და კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის" საქართველოს წარმომადგენლობას" (ს/კ 236097326) შორის 2009 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულების (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის წომერი 090659695) მე-4 მუხლის 4.4. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.4. გადაცემულ ობიექტებში უწყვეტი სამედიცინო განათლების, სახელობო საექთნო განათლების და დიპლომირებული ექთნების გადამზადების უზრუნველყოფა; გადაცემულ ობიექტებში თანამედროვე, დასავლური სტანდარტის საექთნო სკოლის ჩამოყალიბება;".

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილი გასკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, ძოძხადებულად ძიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ქალბატონმა რუსუდან მირზიკაშვილმა იურიდიულ საკითხთა და

ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ წესებში შემდეგი ტექნიკური ხარვეზის გასწორებას, კერძოდ:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-9 მუხლის 5¹ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის რეგულირების სფეროში (გამონაკლისებში) უნდა მოექცეს ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმები და არა ზოგადად განაშენიანების რეგულირების გეგმები.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14 39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესების „დასართი-1“-ს ემატება მე-10 პუნქტი, რომლის თანახმადაც სამრეწველო ზონა 1-ს სპეციალური ზონალური შეთანხმებით დაშვებულ სახეობას ემატება „სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი“.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს მოსაზრებით, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების სამართლებრივი დასაბუთების ხაწილში მითითებულ იქნეს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61 ე მუხლის მე 2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

ღღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თამთა კაკოიშვილი